საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 15

ქ. თბილისი **05.10.2016**

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
ლევან მადათოვი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მანანა მელიქიშვილი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი;
რევაზ ჯორბენაძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თათია ქართლელიშვილი - სადოქტორო პროგრამის „ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება“ ასისტენტი.

5.1/6

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
დავით აფრასიძე - პროფესორი.

შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი:
იოვან დიდიერ - რექტორი;
თამარ გიორგობიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაკა ადვაძე - კონსულტანტი.

შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი:
მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვახტანგ ქავთარაძე - პრორექტორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ლევან ჯაყელი;
თინათინ ჭინჭარაული;
ნანა საგინაშვილი;
თორნიკე გურული;
ლილი ხეჩუაშვილი;
თამარ ვალიშვილი.

სხდომა 16:41 საათზე დაიწყო. განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თავმჯდომარის არყოფნის გამო, სხდომას უხელმძღვანელა ნათელა სახოკიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯომარემ დამსწრე საზოგადოებას კითხვით მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით თუ არსებობდა რაიმე შუამდგომლობა.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა წერილი, რითაც ითხოვდა სამართლის პროგრამების განხილვის გადადებას მომდევნო სხდომისთვის. ასევე, დაფიქსირდა შუამდგომლობა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დამატებითი პროგრამა გასულიყო პირველ საკითხად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ შუამდგომლობებს. საბჭოს ყველა წევრის თანხმობით, დღის წესრიგი დამტკიცდა ახალი სახით:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები-ევროპა და ახლო აღმოსავლეთის ინგლისურენოვანი დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:
პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები - ევროპა და ახლო აღმოსავლეთი
განათლების საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თვითაცილება განაცხადა თამარ ბრეგვაძემ და რევაზ სოლომონიამ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ლევან ჯაყელმა წარადგინა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- დიპლომატიის ისტორია მე-17 მე-20 საუკუნეებში საკმაოდ დიდი მოცულობის მასალას მოიცავდა და სასურველი იყო სალექციო კურსის გაყოფა ორ ნაწილად. ასევე, მიზანშეწონილი იქნებოდა დახვეწილიყო ლიტერატურა, რომელიც საკმაოდ ბევრი იყო და მეორდებოდა სხვადასხვა ისტორიკოსების ნაშრომებში ერთიდაიგივე მოვლენისა და პოლიტიკური მოღვაწის შესახებ.

- სალექციო კურსი „უსაფრთხოების კვლევები" სასურველი იქნებოდა ცალკე გამოყოფილიყო ტერორიზმი და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების პრობლემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ქართულენოვანი ვერსია საბჭოს იმავე შემადგენლობის მიერ უკვე იყო აკრედიტებული. მან განაცხადა, რომ იყო მსჯელობა კრედიტების გადანაწილების შესახებ, სტანდარტული მიდგომა არ არსებობდა და ამიტომ უნივერსიტეტის გადასაწყვეტი იყო, როგორ დაითვლიდა კრედიტებს, მთავარია წინააღმდეგობაში არ მოსულიყო კანონმდებლობასთან.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი სრულად გემოვნების სფეროს არ წარმოადგენდა და მისი აზრით, კვირაში 2 საათის მოცულობით წარმოდგენა არასაკმარისი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა საბჭოს წევრს და უპასუხა, რომ ეს მისი სუბიექტური მოსაზრება იყო, დოკუმენტურად კი ეს მოთხოვნა არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მთავარი ის არ იყო, რა ეწერა დოკუმენტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კრედიტი მოიცავდა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი მუშაობით ვერ გავიდოდნენ შედეგზე, შეიძლებოდა ამაზე საუბარი, თუმცა ამ ეტაპზე თვლიდა, რომ ეს მოთხოვნა სუბიექტური იყო.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, ვის მოიაზრებდნენ პროგრამაზე პოტენციურ სტუდენტებად. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კურსები ცალკე გათვლილი იყო გაცვლითი პროგრამების სტუდენტებისთვის, სამომავლოდ კი უცხოელებისთვისაც, რომელთა მიღება დაკავშირებული იყო სხვა პროგრამების აკრედიტაციასთან. ბიზნესის ადმინისტრირებასთან ერთადაც იყო განხილული ერთ-ერთ ვარიანტად, მომავალში კი მოიაზრებდნენ, რომ კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის სტუდენტებიც აიღებდნენ მაინორად აღნიშნულ პროგრამას.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა რატომ გახდა საჭირო ტერორიზმის საკითხების ცალკე კურსად გამოტანა. ექსპერტმა, ლევან ჯაყელმა უპასუხა, რომ მეორე ექსპერტის, დავით გეგეჭკორის რეკომენდაცია იყო ასეთი, მან ჩათვალა საჭიროდ, თუმცა დაწესებულების გადასაწყვეტი იყო ამ რეკომენდაციას გაითვალისწინებდნენ თუ არა.

ნათელა სახოკიამ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, რატომ მოიაზრებდნენ ამ პროგრამას კომპიუტერულ მეცნიერებებთან და ბიზნეს ადმინისტრირებასთან ერთად.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დავით აფრასიძემ უპასუხა, რომ მათ ჩაატარეს კონსულტაციები დამსაქმებლებთან, მათ შორის კერძო ორგანიზაციებთან და ამის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს ხშირი პრაქტიკა იყო, ამას გარდა გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტში არსებული რესურსი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის ინგლისურენოვანი დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის ინგლისურენოვან დამატებით საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ნ.ნ

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თვითაცილება განაცხადა ლევან გორდეზიანმა და ნანა შათაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ თინათინ ჭინჭარაული, თორნიკე გურული და ნანა საგინაშვილი. ექსპერტმა, თორნიკე გურულმა აღნიშნა, რომ ქვეყანას სჭირდებოდა ასეთი პროგრამა, დღესდღეობით აქტუალური იყო სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ტრენერების, კონსულტანტების აყვანა, პერსონალის განვითარება, ხოლო სადოქტორო პროგრამა ამ მიმართულებით აქამდე არ არსებობდა.

ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს შემუშავებული რეკომენდაციები:

- სადოქტორო პროგრამის რამდენიმე კომპონენტი შეიცვალა ვიზიტის დროს. შეიცვალა სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებული ქვედარგების ჩამონათვალი. „პერსონალის განვითარება“ ჩანაცვლდა „პერსონალური განვითარებით“. ასევე განხორციელდა სხვადასხვა ცვლილებები სილაბუსებშიც. მნიშვნელოვანი იყო, რომ აღნიშნული ცვლილებები აკადემიურ საბჭოს ვიზიტის პერიოდში არ განუხილავს.
- ვიზიტის დროს შეიცვალა სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაც. რადგანაც არსებული პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა სადოქტორო პროგრამის მიზნის მიღწევადობას ყველა სტუდენტისთვის. სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად დაემატა სპეციალობაში გასაუბრებაც. აღნიშნული ცვლილებები აკადემიურ საბჭოს არ განუხილავს ვიზიტის პერიოდში.
- სასწავლო კურსში „ორგანიზაციის განვითარება“ მითითებული ლიტერატურის ერთი ნაწილი გერმანულენოვანი იყო. თუმცა გერმანული არ იყო პროგრამაზე დაშვების

წინაპირობა. აღნიშნულ სილაბუსში ძირითადი ლიტერატურა შეიცვალა ვიზიტის დროს. აღნიშნული ცვლილებაც აკადემიურ საბჭოს არ განუხილავს ვიზიტის პერიოდში.

- ექსპერტების რეკომენდაციით, მნიშვნელოვანი იყო, რომ სადოქტორო პროგრამაზე უფრო მეტი საგანი დამატებოდა სავალდებულო არჩევით კურსებს. პროგრამა მოიცავდა თანამედროვე მიმართულებებს, როგორიცაა ქოუჩინგი, მედიაცია და ა.შ. რომელშიც სტუდენტების ძირითად ნაწილს არ ექნებოდა სათანადო ინფორმაცია. ამიტომ, სასურველი იქნებოდა, სასწავლო პროგრამა გამდიდრებულიყო აღნიშნული სავალდებულო-არჩევითი საგნებით.

ექსპერტების თქმით, ვიზიტის დროს გარკვეულ ცვლილებებზე იყო საუბარი, რომელსაც უნივერსიტეტის მხარეც ემხრობოდა, თუმცა საჭირო იყო ამის აკადემიურ საბჭოზე გატანა და დამტკიცება, რაც ვერ მოესწრო ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა თუ ჰქონდათ აღნიშნული პროგრამა საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ახორციელებდნენ ასევე სამაგისტრო პროგრამას.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, თამარ ვეფხვაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაზიარებული იყო. მან დაამატა, რომ დიდი უნივერსიტეტის ფარგლებში პროგრამის დამტკიცების პროცედურა რამდენიმე ეტაპად იყოფოდა, უშუალოდ მიმართულებაზე განხილვიდან საბოლოოდ აკადემიური საბჭოს დამტკიცებამდე. შესაბამისად, ამ პროცესს გარკვეული პერიოდი სჭირდებოდა. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2 სექტემბერს და უკვე დამტკიცებული იყო ორი რეკომენდაცია, ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე წარადგინა. მან აღნიშნა, რომ წინაპირობებიც დაიხვეწა და ლიტერატურაც ჩანაცვლდა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით. თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ პროგრამას მხოლოდ გაზაფხულიდან აამუშავებდნენ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა დისერტაციის ხელმძღვანელებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა 4 ბლოკად იყო დაყოფილი და თითოს თითო ხელმძღვანელი ჰყავდა, 2 მათ შორის - ავსტრიიდან და ჰოლანდიიდან. ისინი წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდნენ და სტუდენტებიც მიდიოდნენ ასეთ შემთხვევებში საზღვარგარეთ. საბჭოს წევრებმა კითხვით მიმართეს დაწესებულების წარმომადგენლებს უცხოელ მასწავლებლებთან თუ იყო ხელშეკრულებები გაფორმებული დოკუმენტურად. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ გაფორმებული იყო კონტრაქტები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ამ პროცესის დაფინანსებას ვინ უზრუნველყოფდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი არ იღებდნენ ჰონორარს, თუმცა მგზავრობის და იქ ყოფნის ხარჯებს ფაკულტეტი აფინანსებდა. უმეტეს შემთხვევაში, სტუდენტები სტიპენდიით მიდიოდნენ, ასევე იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სტუდენტი უცხოელმა პროფესორებმა დააფინანსეს.

ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ უხერხული შეცდომა იყო უნივერსიტეტის მხრიდან ტერმინოლოგიური უზუსტობა - ზოგან პერსონალის განვითარება ეწერა პროგრამაში, ზოგან პერსონალური განვითარება, რაც შინაარსობრივად სხვადასხვა რამეს გულისხმობდა.

ექსპერტმა, გურულმა აღნიშნა, რომ მასაც იგივე შენიშვნა ჰქონდა და დისკუსიის შემდეგ ჩამოყალიბდა პერსონალურ განვითარებად. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს უზუსტობა თარგმნის პრობლემას წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამები ყველა ერთმანეთს გავდა და რთული იყო, პროგრამებს შორის განსხვავებების დანახვა, კვლევით პრიორიტეტებშიც, კურსებშიც და წინაპირობებშიც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, რევაზი ჯორბენაძემ აღნიშნა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო სოციალური მეცნიერებების დოქტორის და არა ფსიქოლოგიის. ექსპერტმა, თინათინ ჭინჭარაულმა დაამატა, რომ პროგრამა ინტერდისციპლინური იყო და ექსპერტების რეკომენდაცია სწორედ კურსების გამრავალფეროვნება იყო. თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ განსხვავებას არეგულირებდა სასწავლო კომპონენტის აქტივობები, კვლევის მეთოდოლოგიაც განსხვავდებოდა.

საბჭოს წევრი, რევაზ სოლომონია დაინტერესდა პუბლიკაციების მოთხოვნებით. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ დოქტორანტს უნდა წარმოედგინა 3 სტატია საერთაშორისო რეფერირებად ან იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დასაქმების პერსპექტივასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდებოდნენ ნებისმიერ ორგანიზაციაში ასევე ლექციების წაკითხვის საშუალებაც ექნებოდათ თვითონ ფაკულტეტზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: განათლების ფსიქოლოგია
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ თინათინ ჭინჭარაული, თორნიკე გურული და ნანა საგინაშვილი. თინათინ ჭინჭარაულმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა ასეთი პროგრამის არსებობა და განვითარება რადგან ეს წარმოადგენდა განათლების სფეროს არამხოლოდ პიროვნების, არამედ სისტემის დონეზე.

მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

1. სასურველი იყო, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით შეთავაზებული სავალდებულო საგნების გარდა, დოქტორანტს დარგობრივი სავალდებულო კურსის გავლის შესაძლებლობაც ჰქონოდა. გამომდინარე იქიდან, რომ სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა სხვადასხვა განათლები (სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრი, ფსიქოლოგიის მაგისტრი, განათლების მეცნიერებათა მაგისტრი) მიღებას გულისხმობდა, დარგობრივი სავალდებულო კურსი დოქტორანტებს მისცემდა დარგის შესაბამისი ცოდნის გაღრმავების საშუალებას და შეავსებდა მათი წინა განათლებიდან გამომდინარე ცოდნაში არსებულ განსხვავებას.
2. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყო დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დამტკიცებული სხვადასხვა სალექციო კურსის კვლევის მეთოდები. სასურველი იქნებოდა, მოცემული სადოქტორო პროგრამისთვის მომზადებულიყო სფეროსთვის სპეციფიკური კვლევის მეთოდების ათვისებაზე ორიენტირებული სალექციო კურსი, რაც ხელს შეუწყობდა (გაამარტივებდა) შემდგომში სადოქტორო თემაზე მუშაობის პროცესს.

ნათელა სახოკია დაინტერესდა კონკრეტულად რა ისწავლებოდა განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს სფერო მოიცავდა მოტივაციას, მასწავლებელს მათ ზეგავლენას ცოდნაზე, ღირებულებებზე, ინტერკულტურულ გარემოს, ინტერნაციონალიზაციას და ა.შ. ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს თუ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთერთ საკითხად რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის ზეგავლენა. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ შესაძლებელი იყო რომელიმე პროგრამის შეფასება, თუმცა სადოქტორო თემისთვის მნიშვნელობა ექნებოდა პროგრამასა და შეფასების ფორმატს, რამდენად იქნებოდა აქტივობაზე ორიენტირებული კვლევა და გამოსადეგი.

ასევე შესაძლებელია შესწავლილიყო ისეთი საკითხები, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კურიკულუმი, ან ეროვნული სასწავლო გეგმა, მოცულობის თვალსაზრისით, კოგნიტური თვალსაზრისით რამდენად შესაბამისი იქნებოდა მაგალითად სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ თუ იყო ჩატარებული ამგვარი კვლევები საქართველოში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ტარდებოდა გარკვეული კვლევები სხვადასხვა აქცენტებით, უნივერსიტეტს არ ჰქონდა ასეთი მასშტაბური კვლევის ჩატარების ფუფუნება, თუმცა მცირე კვლევებს ატარებდნენ. მან დაამატა, რომ ეყრდნობოდნენ საერთაშორისო თანამედროვე კვლევებსაც, ასევე არსებობდა სახელმწიფო კვლევებიც. პროგრამაში ჩართული იყვნენ პრაქტიკოსი ლექტორები, თავად პროგრამის ხელმძღვანელი განათლების სამინისტროში მუშაობდა და გამოთქმული იყო მზაობა სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფისთვის. თემების შერჩევა კი იგეგმებოდა სტუდენტების ინტერესებისა და პერსონალის გამოცდილების გათვალისწინებით. დარგობრივი კვლევები მოიაზრებოდა კოლოკვიუმების სახით, რასაც 20 კრედიტი ეთმობოდა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

17:40 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 17:56 საათზე.
სხდომა დატოვა თუთა ნარმანიამ. მდივნად აირჩიეს ელიზბარ ელიზბარაშვილი.

4. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 300

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თამარ ვალიშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო როგორც რეკომენდაციები, ასევე ხარვეზები:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

1.2 პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად ზოგადი საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინები უზრუნველყოფდა საკვალიფიკაციო ეროვნული ჩარჩოთი გათვალისწინებული უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ზოგადი კომპეტენციების მიღწევას და მოიცავდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უცხო (ინგლისურ) ენაზე კომუნიკაციის უნარის განმავითარებელ დისციპლინებს, ასევე, დარგობრივ უცხო (ინგლისურ) ენას. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა არ მოიცავდა არც უცხო ენის კურსს (ინგლისური ენა), და არც დარგობრივ ინგლისურ ენას.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო მხოლოდ უცხო ენა 1 (ქართული ენა) და უცხო ენა 2 (ქართული ენა), რაც ალბათ ქართულენოვანი აპლიკანტების შემთხვევაში გარკვეულ უხერხულობას შექმნიდა, მისი შინაარსობრივი მხრიდან გამომდინარე;

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული იყო 4 არჩევითი კურსი – მედიცინის ისტორია, ბიოეთიკა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები. სასურველი იქნებოდა გაზრდილიყო არჩევითი საგნების წილი, ხოლო სასწავლო კურსები „ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბიოეთიკა“ – გადატანილიყო ძირითადი საგნების ნუსხაში, რადგან აღნიშნული კურსები მნიშვნელოვანი იყო დიპლომირებული სტომატოლოგისათვის სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად.

1.3 პროგრამის კლინიკური საგნობრივი ბლოკის შემადგენლობაში არ შედიოდა ისეთი საგნები, როგორიცაა მაგ. პედიატრია, ფსიქიატრია, პირველადი სამედიცინო დახმარება, თუმცა პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების (შეძლოს ბავშვთა და მოზარდთა პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარება: ინდექსების განსაზღვრა, დაზიანების ხარისხის დადგენა, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება; პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის განსაზღვრა.) მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, სასურველი იქნებოდა ამ კურსების შესაბამის საკითხებზე ყურადღების გამახვილება საგანმანათლებლო პროგრამაში;

1.4 პროგრამის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კურსდამთავრებულისთვის მიეცა ისეთი საბაზისო ცოდნა და კომპეტენციები, რომელიც მომავლში მისი წარმატებული საქმიანობის საწინდარი იქნებოდა. კერძოდ, კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონოდათ: პროფესიული უნარები, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით; კომუნიკაციისა და ინტერპერსონალური უნარები; ცოდნაზე დაფუძნებული ინფორმაციის მართვისა და კრიტიკული აზროვნების უნარი; მტკიცებითი მედიცინის მონაცემებზე დაფუძნებული გამოკვლევის, მკურნალობის და პროფილაქტიკის სტრატეგიების დასახვის უნარი; ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფისთვის აუცილებელი უნარები და ღირებულებები; ექიმის პროფესიის ისეთი ძირითადი ღირებულებების გაცნობიერება, როგორიცაა ზნეობრივი და ეთიკური პრინციპები. თუმცა, სასწავლო პროგრამით არ იყო გათვალისწინებული სასწავლო კურსები, რომლებიც ემსახურებოდა აღნიშნული კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობისათვის, კერძოდ, ეპიდემიოლოგია, სტატისტიკა, ხოლო „ბიოეთიკა", სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძვლები, ჯანდაცვის მენეჯმენტი წარმოადგენდნენ არჩევით კურსებს.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დამატებით პირობას წარმოადგენდა: „ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა (TOEFL, Cambradge) ან ტესტირების გავლა ინგლისურ ენაში. აპლიკანტი, რომლის ცოდნა შეესაბამება ენის ცოდნის B1დონეს მიღებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამაზე" თუმცა არ იყო დაკონკრეტებული ეს ეხებოდა ეროვნულ გამოცდებ გამოვლილ აპლიკანტებს (რომელთაც დამატებით პირობას ვეღარ წაუყენებ!) თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს (ამ სხვა ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობების პირს).

2.2 სასწავლო კურსის „ადამიანის ფიზიოლოგია 1" სილაბუსით მე–17 კვირას გათვალისწინებული იყო რეფერატების პრეზენტაცია, თუმცა აღნიშნულ სილაბუსში ჩამოთვლილ სწავლის მეთოდებში რეფერატი არ იყო მითითებული.

2.5 რიგ სილაბუსებში ((სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა 1, ფარმაკოლოგია, ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია, და სხვა) პუნქტში - სტუდენტის შეფასება - ფიგურირებდა ჩანაწერი: „დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულია 50%+1", რაც ლოგიკური იყო და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდებოდა, რომ რეალურად ასეც ხდებოდა, მაშინ ზემოთ მითითებული ჩანაწერი უადგილო იყო. სასურველი იქნებოდა, უკანასკნელი ფორმულირება მცირედი კორექციით (დაკონკრეტდეს განმეორებით გამოცდაზე დაშვების საერთო ქულა დასკვნითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ქულების ჯამის გათვალისწინებით - არანაკლებ 41!) დამატებოდა ყველა სილაბუსს, ხოლო ზემოთ მითითებული ფორმულირება ამოღებულიყო სილაბუსებიდან.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

4.1 უნივერსიტეტის ძირითად შენობაში არ იყო საბაზისო სამედიცინო საგნების სწავლებისათვის თვალსაჩინოებებით, მულიაჟებით, პრეპარატებით, აპარატურით და ა.შ. აღჭურვილი სასწავლო ოთახები და ლაბორატორიები (ქიმიის, ბიოქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ანატომიის, ჰისტოლოგიის, მიკრობიოლოგიის, პათანატომიისთვის).

4.2 სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ძირითადად უზრუნველყოფილი იყო მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვებოდა სათანადო სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე, უნივერსიტეტის მიერ არჩეული 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 22 მოწვეული სპეციალისტი.

აკადემიური პერსონალის რეესტრის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის (ყოფილი სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი") პროფესორი ლელა აფციაური, ამავდროულად იყო შპს - სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედი"ს აქტიური (მოქმედი) პროფესორი და სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აქტიური (მოქმედი) ასოცირებული პროფესორი,

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები ნაწილობრივ ფლობდნენ საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული სათანადო კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც, აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში, დასტურდებოდა მათი კვალიფიკაციით და ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით, ხოლო მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში კი - მათი კვალიფიკაციით, ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებით ან პრაქტიკული გამოცდილებით.

ექსპერტმა აღნიშნა,_ რომ ადამიანური რესურსის სტანდარტის ამ პუნქტის გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე გარემოება, კერძოდ:

შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასალში" აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე (N5, 07.12.2015წ) (დანართი N 6)– ოქმში მითითებული იყო მხოლოდ დასაკავებელი თანამდებობის დასახელელებები და რაოდენობა (პროფესორი – 2, ასოცირებული პროფესორი 2, ასისტენტ პროფესორი – 2); საერთოდ არ იყო ასახული კონკურსის პირობები, წარმოსადგენი საბუთების ნუსხა, კონკურსის ჩატარების თარიღი, საბუთების შემოტანის ვადები და ასე შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებულ კონკურში იღებდნენ მონაწილეობას პირები, ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში თანამდებობების დასაკავებლად, არსად არ იყო გაწერილი ინგლისური ენის მოთხოვნები ამ პირთათვის.

2015 წლის 7 დეკემბერს გამოცემული იყო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (N125) პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ, სადაც მითითებული იყო ასევე მხოლოდ დასაკავებელი თანამდებობების რაოდენობა, დოკუმენტაციის წარდგენის ვადა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (დანართი N 7). კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებულ გამოქვეყნებულ საგაზეთო განცხადებაში (გაზეთი „სიტყვა და საქმე", დანართი N 8) მითითებული იყო იგივე ინფორმაცია. დაწესებულებაში არსებობდა „აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების

6-1ა6

წესი“ (დანართი 9), რომელთანაც შეუსაბამობაში იყო რექტორის ბრძანება და საგაზეთო განცხადება

ასევე ექსპერტების მიერ აღმოჩენილი იყო დარღვევები აკადემიურ კონკურში მონაწილეობის განცხადებებში და აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში. კერძოდ, ოლეგ კვიციანის განცხადებაში არ იყო მითითებული შევსების თარიღი, ქეთევან ნანობაშვილის განცხადებაში არ იყო მითითებული შევსების თარიღი, დასაკავებელი თანამდებობის დასახელება; გოჩა ბარბაქაძეს განცხადებაში არ იყო მითითებული დასაკავებელი თანამდებობის დასახელება; ქეთევან გოჩიტაშვილის განცხადებას შევსებული იყო არასრულყოფილად (დანართი N 10).

პროგრამა იყო ინგლისურენოვანი და ამიტომ მოითხოვდა პედაგოგების განსაზღვრულ ენობრივ კომპეტენციებს. დაწესებულებაში გამოცემული იყო რექტორის ბრძანება ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი და ენობრივი კომპეტენციების შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ (ბრძანება N104, 12/10/2015წ; დანართი N 11), რომელიც გულისხმობდა ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესორ–მასწავლებლების (აკადემიური/მოწვეული) ენობრივი კომპეტენციების შეფასება მომხდარიყო TOEFL და კემბრიჯის (B2 დონე) სერტიფიკატების წარმოდგენის ან ტესტური გამოკითხვა/გასაუბრების საფუძველზე. პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ რამოდენიმე პედაგოგს ჰქონდა ენობრივი სერტიფიკატი, ხოლო ინფორმაცია ტესტირების შესახებ მოიძებნა მხოლოდ რამდენიმე განმახორციელებელი პერსონალის შემთხვევაში.

ექსპერტმა წარმოადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, სასურველი იყო დამატებით პირობებში ენის ფლობის დონე ინგლისურენოვან პროგრამაზე ყოფილიყო B2, ხოლო ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ფლობის მინიმალური ზღვარი გაზრდილიყო მაქსიმალურად.
- სასურველი იქნებოდა პუნქტში „დასაქმების სფეროები“ ჩანაწერი „დიპლომირებული სტომატოლოგის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ექიმ-სტომატოლოგის თანაშემწედ“ მოსულიყო შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, რომელიც არ ითვალისწინებდა „დიპლომირებული სტომატოლოგის თანაშემწის“ თანამდებობას. ფორმულირება უნდა შეცვლილიყო ფორმულირებით „უმცროს ექიმად“.
- პროგრამის აღწერილობით ნაწილში, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემაში - პუნქტი 7-ის ფორმულირება - სტუდენტის შეფასება წინამდებარე წესით გათვალისწინებული კომპონენტებით ხორციელდებოდა ყოველ სემესტრულად - სასურველია დაიხვეწილიყო, ვინაიდან სასწავლო კურსი არსებული კანონმდებლობით ერთსემესტრიანი, აპელირება იმაზე რომ შეფასება ყოველსემესტრულად ხდებოდა აზრს მოკლებული იყო.
- სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით ნაწილში, პუნქტში - საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა - გასწორებულიყო ჩანაწერი ინგლისური ენის კურსის შესახებ, რომელსაც რეალურად სასწავლო გეგმა არ მოიცავდა;

  ვინაიდან პროგრამა არ ზღუდავდა ქართულენოვანი აპლიკანტის პროგრამაზე დაშვებას სასურველი იქნებოდა სასწავლო გეგმას „ქართული ენა 1“ და „ქართული ენა 2“ ალტერნატივად ჩაემატებოდა სხვა უცხოური ენები (ინგლისური - ენის კომპეტენციის გასაძლიერებლად, ან გერმანული/ფრანგული და სხვ.);

- სილაბუსებში, ცოდნის შეფასებაში, პუნქტი 2. ფიგურირებდა ჩანაწერი: „დასკვნით გამოცდაზე 15 ან ნაკლები (15 ან მეტი ქულა - ფიგურირებს ინგლისურენოვან რიგ ვერსიებში!) ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე“, რაც არასრული ჩანაწერი იყო თუ არ გავითვალისწინებთ შუალედური ქულებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამს, რომელიც 41-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგებოდა არსებულ კანონმდებლობას. სასურველი იქნებოდა, გასწორებულიყო აღნიშნული ფორმულირება გამჭვირვალობისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;

  რიგ სილაბუსებში ((სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა 1, ფარმაკოლოგია, ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია, და სხვა) პუნქტში - სტუდენტის შეფასება - ფიგურირებდა ჩანაწერი: „დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულაა 50%+1“, რაც ლოგიკური იყო და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდებოდა, რომ რეალურად ასეც ხდებოდა, მაშინ ზემოთ მითითებული ჩანაწერი უადგილო იყო. სასურველი იქნებოდა უკანასკნელის ფორმულირება მცირედი კორექციით (დაკონკრეტებულიყო განმეორებით გამოცდაზე დაშვების საერთო ქულა დასკვნითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ქულების ჯამის გათვალისწინებით - არანაკლებ 41!) დამატებოდა ყველა სილაბუსს, ხოლო ზემოთ მითითებული ფორმულირება ამოვარდნილიყო სილაბუსებიდან.
- სასურველი იქნებოდა სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაში გაზრდილიყო არჩევითი კურსების წილი, ხოლო სასწავლო კურსები „ექიმის მოღვაწეობის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბიოეთიკა“ – გადატანილიყო ძირითადი საგნების ნუსხაში, რადგან აღნიშნული კურსები მნიშვნელოვანი იყო დიპლომირებული სტომატოლოგისათვის სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად.
- პროგრამის სწავლის შედეგების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, სასურველი იქნებოდა პროგრამაში პედიატრიულ, ფსიქიატრიულ, ეპიდემიოლოგიურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება;

ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია ხარვეზების გამოსწორების შესახებ, თუმცა ექსპერტს არ ჰქონდა საშუალება, ენახა და გადაემოწმებინა მათი სტანდარტებთან შესაბამისობა.

ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა ნანახი აღნიშნული დოკუმენტაცია.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა მეოთხე საგნად რა ჰქონდა არჩეული უნივერსიტეტს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს პროგრამა უცხოელებზე იყო გათვლილი და უგამოცდოდ ირიცხებოდნენ მინისტრის ბრძანების საფუძველზე, მხოლოდ ინგლისურ ენას ითხოვდნენ წინაპირობად.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა, აღნიშნა, რომ ეს არ ნიშნავდა, რომ ქართველ სტუდენტი ვერ ჩააბარებდა პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში, მეოთხე საგანი არჩევითი იქნებოდა ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ აკადემიური პერსონალის გადანაწილებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 3 პროფესორი და 22 მოწვეული ლექტორი იყო ჩართული პროგრამაში.

დაწესებულების კონსულტანტი, მაკა ადვაძე ექსპერტს არ დაეთანხმა არჩევით საგნებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს. ასევე განაცხადა, რომ ტესტირება ჩატარდა და წარმოდგენილი ჰქონდათ აღნიშნული დოკუმენტები. ხარისხის სამსახურის უფროსი, ავადმყოფობის გამო, არ იმყოფებოდა უნივერსიტეტში და ამის გამო ვერ მოიძიეს ტესტები ვიზიტის პერიოდში. მან დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამის ქართული ანალოგი უკვე აკრედიტებული იყო და მუშაობდა.

უნივერსიტეტში იყო ორგანიზაციული ცვლილებებიც, შეიცვალა რექტორი და მიმდინარეობდა რეორგანიზაცია. უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ აპირებდნენ საერთაშორისო პროგრამების განხორციელებას და ამიტომ იყო საჭირო ინგლისურენოვანი პროგრამების დამატება, მან დაამატა, რომ ჰყავდათ უცხოელი პარტნიორებიც. საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების რექტორს, პარტნიორები თუ იყვნენ საქმის კურსში, რომ ამ პროგრამას შესაბამისი აღჭურვილობა სჭირდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებული ლაბორატორია ამ პროგრამისთვის საკმარისი იყო ამ ეტაპისთვის და მომავალში განვითარებას აპირებდნენ. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ განათლებით ფსიქოლოგი და ეკონომისტი იყო და გერმანიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს წევრი იყო.

საბჭოს წევრმა, რევაზ სოლომონიამ აღნიშნა, რომ საბჭოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირად ეუბნებოდნენ უარს აკრედიტაციაზე იმ პროგრამებს, სადაც 50-50-ზე იყო თანაფარდობა მოწვეულსა და აკადემიურ პერსონალს შორის, ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო მძიმე სიტუაცია იყო რადგან გადანაწილება იყო 7/22 ზე.

დაწესებულების კონსულტანტმა, მაკა ადვაძემ აღნიშნა, რომ უცხოენოვანი პროგრამისთვის იყო შესაძლებელი ამ პროპორციით მუშაობა, რადგან მცირე რაოდენობის სტუდენტს მიიღებდნენ. საბჭოს წევრები არ დაეთანხმნენ. ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სწავლა, ყოველ წელს დაემატებოდა ახალი ნაკადი და პროგრამას სჭირდებოდა სტაბილურობა.

ნანა შათაშვილი დაინტერესდა, როდის დაიწყო მოღვაწეობა უნივერსიტეტში ახალმა რექტორმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ წლიდან შეუდგა საქმიანობას და აპირებდა უნივერსიტეტის განვითარებას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა რა დოკუმენტაცია იყო წარმოდგენილი უნივერსიტეტის მიერ ვიზიტის შემდგომ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღმოფხვრილი იყო ყველა უზუსტობა და წარმოადგინეს აკადემიური პერსონალის ტესტირების შედეგები, შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების აქტები.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ სწავლის გადასახადით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 3500 დოლარს შეადგენდა წლიური საფასური აღნიშნულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრებმა ექსპერტს მიმართეს კითხვით, როგორ შეაფასებდა პროგრამის მზაობას. თამარ ვალიშვილმა უპასუხა, რომ ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შეიკავებდა, რადგან შესაბამისი დასკვნა წარმოდგენილი ჰქონდა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-106

5. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი 1995 წლიდან არსებობდა, 4 წლის წინ განიცადა რებრენდინგი, ამჟამად სასწავლებელში ხორციელდებოდა 16 აკრედიტებული პროგრამა და ირიცხებოდა 1000 სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ლილი ხეჩუაშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ამავე პროგრამაზე წინა აკრედიტაციის დროსაც შეამოწმა სტანდარტებთან შესაბამისობა და იმ დროისთვის აკადემიური პერსონალის სიმწირის საფუძველზე პროგრამას არ მიენიჭა აკრედიტაცია. ამჟამად ექსპერტებს პროგრამასთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ ჰქონდათ. მან წარმოადგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- კარგი იქნებოდა პროგრამისა და მასში ჩართული სალექციო კურსების სილაბუსებში კომპეტენციის ნაწილში ზოგიერთი ფრაზის გადახედვა, დაკონკრეტება/მოდიფიცირება და ზოგ შემთხვევაში გადანაცვლება. მაგალითად, „ფსიქოლოგიის საფუძვლები 1“ დასკვნის უნარის კომპონენტში აღნიშნული იყო: „სტუდენტს შეეძლება „პიროვნების სულიერი სამყაროს ანალიზი“ რაც ექსპერტების მოსაზრებით, შეუძლებელი იყო მეცნიერული ფსიქოლოგიის ფარგლებში. ამავე კურსის სწავლის უნარის აღწერა იწყებოდა ფრაზით: „სტუდენტს გაუჩნდება მოტივაცია“... რაც ასევე, არ წარმოადგენს სწავლის უნარს.

  სტატისტიკისა და მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის კურსები:

- როგორც კურსში შემავალი თემების გაცნობიდან, ისევე ლექტორთან გასაუბრებისას გაირკვა, სტუდენტებს ზოგადად უჭირდათ კურსის ფარგლებში განხილული რამდენიმე

საკითხის (მაგალითად, ფაქტორული ანალიზის) გაგება. ამასთან, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაზე ცალსახად არ იყო განსაზღვრული მათემატიკის გარკვეულ დონეზე ცოდნა და ბაკალავრს არ მოეთხოვებოდა გართულებული დასკვნითი სტატისტიკის სირთულის ცოდნა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებული იყო კურსის „სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის" გამარტივება.

- პროგრამაში წარმოდგენილი იყო კურსი „მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი (SPSS), რომლის შინაარსი და სწავლის შედეგები არ იყო თანხვედრაში დასახელებასთან. კურსი, ფაქტობრივად წარმოადგენდა პრაქტიკუმს SPSS-ში (სტატისტიკური პაკეტი სოციალურ მეცნიერებებისთვის), რომელიც ამ კონკრეტული კომპიუტერული პროგრამით ოპერირებისა და მასში მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იყო ორიენტირებული. შესაბამისად, რეკომენდებული იყო კურსის სახელწოდების შეცვლა დასახელებით „პრაქტიკუმი SPSS-ში" ან ნებისმიერი სხვა დასახელება, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს კურსის შინაარსს.
- „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის" ფარგლებში სტუდენტს ევალებოდა კვლევითი პროექტის, ექსპერიმენტის დაგეგმვა-ჩატარება-წარმოდგენა და ეს კომპონენტი ფასდებოდა 10 ქულით. ვინაიდან მოთხოვნილი შესასრულებელი სამუშაო სტუდენტის ყველა პრაქტიკული კვლევითი უნარ-ჩვევისა და თეორიული ცოდნის მობილიზებას მოითხოვს ასეთი ნაშრომის შესასრულებლად და წარსადგენად, რეკომენდებული იქნებოდა რომ ამ კომპონენტს უფრო მეტი წონა მინიჭებოდა სტუდენტის საბოლოო შეფასებაში და 10 ქულაზე მეტით (15, 20 კურსის წამყვანის შეხედულებისამებრ) შეფასებულიყო.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩართული იყო 23 ადამიანი, აქედან ფსიქოლოგიის დარგით იყო წარმოდგენილი 2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 9 მოწვეული ლექტორი. ექსპერტმა დაამატა, რომ არ იყო დარწმუნებული, რამდენად რეალურად განახორციელებდა ის პერსონალი პროგრამას, ვისთანაც ხელშეკრულებები იყო დადებული.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა აძლევდა ექსპერტს ეჭვის შეტანის საფუძველს. ლილი ხეჩუაშვილმა უპასუხა, რომ რამდენიმე ცნობილი გვარი იყო დასახელებული პროგრამაში, თუმცა აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე მოვიდნენ სხვები და თქვეს, რომ ისინი წაიკითხავდნენ აღნიშნულ კურსებს.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ ეს იყო მხოლოდ ერთი ლექტორის შემთხვევა.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ ამ პროგრამაზე. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოიაზრებოდა 12 სტუდენტის მიღება. ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა განაცხადა, რომ მოცემული სიტუაციიდან პროგრამა იმსახურებდა აკრედიტაციის მიღებას, უბრალოდ რეალობაში გადამოწმებისთვის დასახვეწი იყო არსებული შემდგომი პროცედურები.

G-16

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 19:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ნათელა სახოკია

მდივანი

თუთა ნარმანია

ელიზბარ ელიზბარაშვილი